მოგესალმებით,

გაცნობებთ, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ახორციელებს საინფორმაციო-სასწავლო პროექტს. პროექტის მიზანია, 2025 წლის 4 ოქტომბერს გასამართი მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების პროცესში ხელი შეეწყოს საჯარო მოსამსახურეების ცნობიერების ამაღლებას კანონის მოთხოვნებისა და ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპების დაცვის მნიშვნელობის საკითხების, საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენების და თანამდებობრივი/სამსახურებრივი პრევენციულობის მდგომარეობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო რეგულაციების, ასევე, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისა და მასში საჯარო მოსამსახურეების მონაწილეობის წესების თაობაზე.

ცესკოს ინიცირებით, ზემოაღნიშნულ პროექტს საფუძველი ჩაეყარა 2020 წელს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსამსახურეების მაღალი ინტერესის პირობებში, 2020-2024 წლებში, სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა 30 000-ზე მეტმა პირმა მიიღო.

გაცნობებთ, რომ საჯარო მოსამსახურეების საარჩევნო ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკომ და სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი) განაახლეს საინფორმაციო-სასწავლო კურსი „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი - საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“.

ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე სახელმწიფო უწყებების სასწავლო რესურსის შესახებ ინფორმირების, პროგრამაში საჯარო მოსამსახურეების ჩართულობისა და მათთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საინფორმაციო-სასწავლო რესურსი განთავსებულია ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე.

გიგზავნით, ელექტრონული სასწავლო პლატფორმის ბმულს, რომელიც მომხმარებელს ანიჭებს შესაძლებლობას, დისტანციურ ფორმატში გაიაროს შესაბამისი კურსი: https://electiontraining.cec.gov.ge/.

სასწავლო პროგრამის გავლა რეკომენდებულია ყველა საჯარო მოსამსახურისთვის.

შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელოთ თქვენს უწყებასა და მის სისტემაში (არსებობის შემთხვევაში) დასაქმებულ პირებთან.

მადლობა თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

GOV.GE

ინგოროყვას ქ. 7, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 299 09 00

ADMINISTRATION OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

7 Ingorokva St, Tbilisi 0108, Georgia
Tel: (995 32) 299 09 00